

## აქსოი თურქეთის ფინანსები

**AKSOY V. TURKEY**

საქმის ფაქტობრივი მხარე

7. მომჩივანი, 1963 წელს დაბადებული ბატონი ზეკი აქსოი, იყო თურქეთის მოქალაქე, რომელიც აღნიშნული გარემოებების დროს ცხოვრობდა მარდინში, ყიზილტეპეში (სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთი), სადაც ის მუშაობდა რკინის გადამშუშავებლად. 1994 წლის 16 აპრილს მას ესროლეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მამამისმა გამოთქვა სურვილი საქმის წარმოების გაგრძელების თაობაზე.
8. დაახლოებით 1985 წლიდან თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა სერიოზული დაპირისპირება უშიშროების ძალებსა და PKK-ს (ქურთისტანის მუშათა პარტია) შორის. მთავრობის მონაცემების მიხედვით, ამ დაპირისპირებამ დღემდე 4036 სამოქალაქო პირის და 3884 უშიშროების თანამშრომლის სიცოცხლე შეიწირა.
9. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისათვის თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის 11-დან 10 პროვინციაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა.

### C. მომჩივანის დაკავება

10. საქმეში არსებული ფაქტები დავის საგანგებო მდგომარეობას.
11. მომჩივანის თქმით, იგი დააკავეს 1992 წლის 24 ნოემბერს საღამოს 11 საათსა და 12 საათს შორის პერიოდში. მასთან სახლში მივიდა დაახლოებით ოცამდე პოლიციელი, რომელთაც თან ახლდათ დაკავებული პირი სახელად მეტინი. მომჩივანის თქმით, ამ პირმა ის PKK-ს წევრად დაასახელა, მიუხედავად იმისა, რომ აქსოიმ პოლიციელს განუცხადა, რომ იგი არ იცნობდა მეტინს.
12. მთავრობა აღნიშნავს, რომ მომჩივანი დააკავეს 1992 წლის 26 ნოემბერს დაახლოებით დღის 8 საათსა და 30 წუთზე, სხვა ცამეტ პიროვნებასთან ერთად. მთავრობის განცხადებით, იგი ეჭვმიტანილი იყო PKK-ს ტერორისტების დახმარებაში, გახლდათ PKK-ს ყიზილტეპეს განყოფილების წევრი და ავრცელებდა PKK-ს პამფლეტებს.

13. მომჩივანის თქმით, იგი მიიყვანეს ყიზილტეპეს უშიშროების განყოფილებაში. ერთი ღამის შემდეგ იგი გადაიყვანეს მარდინის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში.

14. იგი დაჰკითხეს, რათა გამოერკვიათ, იცნობდა თუ არა მეტინს (პირს, რომელმაც ის ამოიცნო). მომჩივანის თქმით, მას განუცხადეს: ახლა თუ არ იცნობ, წამების შემდეგ გაიცნობო.

როგორც მომჩივანი აცხადებს, დაკავებიდან მეორე დღეს იგი გააშიშვლეს, ზურგს უკან ხელები შეუკრეს და, წამების მიზნით, შეკრული ხელებით ჩამოჰკიდეს, რასაც “პალესტინურ ჩამოხრჩობას” უწოდებენ. როდესაც იგი ხელებით იყო დაკიდებული, პოლიციელებმა მას სასქესო ორგანოზე შეუერთეს ელექტროდები და წყალს ასხამდნენ ელექტროდების ჩართვისას. წამების პროცესში მას თვალები აზვეული პქონდა. წამება დაახლოებით 35 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. შემდეგი ორი დღის განმავლობაში, მისი თქმით, მას სისტემატურად სცემდნენ ყოველ ორ საათში ან საათნახევარში. წამება გაგრძელდა ოთხ დღეს, რომელთაგან პირველი ორი დღე განსაკუთრებით მძიმე იყო.

15. მომჩივანის თქმით, წამების შემდეგ იგი ხელებს და ხელის მტევნებს ვეღარ ამოძრავებდა. მათ, ვინც იგი დაჰკითხა, უბრძანეს ემოძრავა, რომ ხელების მოძრაობის უნარი კვლავ აღდგენოდა. მომჩივანმა ითხოვა ექიმის დახმარება, მაგრამ უარი მიიღო.

16. 1992 წლის 8 დეკემბერს მომჩივანი ექიმმა შეამოწმა ქვე-პრეფექტურის სამედიცინო განყოფილებაში. შედგა სამედიცინო ოქმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მომჩივანს სხეულზე ცემის ან ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა.

17. მთავრობა გამოთქვამს საფუძვლიან ეჭვს, ნამდვილად ცუდად მოეპყრნენ თუ არა მომჩივანს პოლიციის განყოფილებაში.

18. 1992 წლის 10 დეკემბერს ბატონი აქსოი განთავისუფლებისთანავე მიიყვანეს მარდინის პროკურატურაში. მთავრობის განცხადებით, მომჩივანმა შეძლო ხელი მოეწერა განცხადებისთვის, რომელშიც ის უარყოფდა PKK-ს წევრობას. მთავრობა აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ განუცხადებია, რომ იგი აწამეს. ამის საწინააღმდეგოდ, მომჩივანი აცხადებს, რომ მას ხელმოსაწერად წარუდგინეს განცხადება, რომლის შინაარსიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პროკურორმა მას უბრძანა ხელი მოეწერა განცხადებისთვის, მაგრამ ბატონმა აქსოიმ განუცხადა, რომ ხელის მოწერა არ შეეძლო, რადგან ხელების მოძრაობის უნარი წართმეული პქონდა.

*D. მომჩივანის გათავისუფლებასთან დაკავშირებული ფაქტები*

20. 1992 წლის 21 დეკემბერს პროკურორმა დაადგინა, რომ არ არსებობდა მომჩივანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი, თუმცა მასთან ერთად დაკავებულ სხვა თერთმეტ პიროვნებას ბრალი წაეყენათ.

21. მომჩივანის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით თურქეთის სასამართლოში არ აღძრულა არც სისხლის სამართლის და, არც სამოქალაქო საქმე.

*6. კომისიის დასკვნა ფაქტებთან დაკავშირებით*

22. ქალაქ დიარბაქირში 1995 წლის 13-14 მარტს და ქალაქ ანკარაში 1995 წლის 12 და 14 აპრილს კომისიის დელეგატებმა მოისმინეს მოწმეთა ჩვენებები ორივე მხარის წარმომადგენელთა თანდასწრებით, რომელთაც პქონდათ ერთმანეთთან დაპირისპირების შესაძლებლობა. გარდა ამისა, 1994 წლის 18 ოქტომბერს და 1995 წლის 3 ივნისს კომისიამ ქალაქ სტრასბურგში მოისმინა ზეპირი განცხადების საქმის დასაშვებობის და დავის არსებითი დეტალების შესახებ.

ზეპირი ჩვენებებისა და დოკუმენტური მტკიცებულებების შეფასების შედეგად, კომისია ფაქტებთან დაკავშირებით მივიღა შემდეგ დასკვნამდე:

- (a) ვერ დადგინდა ბატონი აქსოის დაკავების ზუსტი თარიღი, თუმცა ეს მოხდა არა უგვიანეს 1992 წლის 26 ნოემბრისა. იგი გათავისუფლებულ იქნა 1992 წლის 10 დეკემბერს. ასე რომ, იგი დაკავებული იყო სულ ცოტა თოთხმეტი დღის განმავლობაში.  
(b) 1992 წლის 15 დეკემბერს იგი მიიყვანეს საავადმყოფოში და დაუსვეს სხივის ორმხრივი პარალიზების დიაგნოზი. მან საავადმყოფო 1992 წლის 31 დეკემბერს თავისი სურვილით, შიდა წესების დაუცველად, დატოვა.  
(f) ბატონი აქსოის სხეულებრივ დაზიანებებთან დაკავშირებით მთავრობას განსხვავებული განმარტება არ წარმოუდგენია.

*II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა*

*A. წამების საწინააღმდეგო სისხლის სამართლის ნორმები*

23. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლით დასჯადია სახელმწიფო მოხელის მიერ პირის წამება ან არასათანადო მოპყრობა (მუხლი 243 ეხება წამებას, ხოლო 245 – არასათანადო მოპყრობას).

26. პროკურორი ვალდებულია გამოიძიოს მძიმე დანაშაულის ჩადენის ყველა სავარაუდო შემთხვევა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება იმისგან დამოუკიდებლად, შესულია თუ არა საჩივარი ამასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, რეგიონში, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ფაქტი განიხილება სამოქალაქო მოსამსახურებისგან შემდგარი ადგილობრივი ადმინისტრაციული საბჭოების მიერ. ეს საბჭოები აგრეთვე უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ, აღძრან თუ არა სისხლის სამართლის საქმე ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გადაწყვეტენ საქმის აღძვრას, ის მაიც უნდა განიხილოს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ (საკანონმდებლო აქტი № 285).

*C. სამოქალაქო წარმოება*

28. სამოქალაქო მოსამსახურის მიერ (გარდა ოლქის ან რაიონის პრეფექტისა საგანგებო მდგომარეობის დროს) ჩადენილი ნებისმიერი უკანონო მოქმედება, რამაც ზიანი გამოიწვია, წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლოს საშუალებით კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველს.

*D. საკანონმდებლო ნორმები პოლიციის მიერ დაკავებული პირის შესახებ*

29. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, დაკავებული და დაპატიმრებული პირი მოსამართლის წინაშე უნდა წარადგინონ 24 საათის განმავლობაში. ეს ვადა შეიძლება ოთხ დღემდე გაგრძელდეს, იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული პირი ჯგუფურ დანაშაულშია ეჭვმიტანილი.

სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე დაკავების დასაშვები ვადა უფრო ხანგრძლივია, თუ წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში. ამ შემთხვევაში, პირი შეიძლება დაკავებული იქნეს 48 საათის განმავლობაში, თუ იგი ეჭვმიტანილია თანამონაწილეობის გარეშე ჩადენილ დანაშაულში, ხოლო 15 დღის განმავლობაში, თუ პირი ეჭვმიტანილია ჯგუფურ დანაშაულში (1992 წლის 1 დეკემბრის № 3842 კანონის 30-ე მუხლი).

რეგიონში, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში მიმდინარე წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლისთვის პირის წარდგენამდე პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს ოთხი დღის ვადით, თუ იგი ეჭვმიტანილია თანამონაწილეობის გარეშე დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ოცდაათი დღის ვადით, თუ იგი ეჭვმიტანილია ჯგუფურ დანაშაულში.

*E. თურქეთის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევის საკითხი*

31. 1990 წლის 6 აგვისტოს წერილით, ევროპის საბჭოში თურქეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობა შემდეგი:

"ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში თურქეთის ეროვნულ უშიშროებას ემუქრება საფრთხე, რომელმაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოცულობისა და ინტენსიურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მზარდი ხასიათი მიღლო იმდენად, რომ საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად ამ მიზნით, თურქეთის მთავრობამ, მოქმედებდა რა თურქეთის კონსტიტუციის 121-ე მუხლის შესაბამისად, 1990 წლის 10 მაისს გამოაქვეყნა № 424 და № 425 კანონის ძალის მქონე დეკრეტები. ამ დეკრეტებით შეიძლება ნაწილობრივ შეიზღუდოს ის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-5, მე-6, მე-8, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლებით."

საქმის წარმოება კომისიაში

35. 1994 წლის 19 ოქტომბერს კომისიამ სარჩელი მისაღებად მიიჩნია. მისი 1995 წლის 23 ოქტომბრის მოხსენებაში (მუხლი 31), კომისიამ თხუთმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ გამოთქავა მოსაზრება, რომ დაირღვა მე-3 მუხლი და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ცამეტი ხმით სამის წინააღმდეგ კომისიამ მიიჩნია, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და, რომ მე-13 მუხლთან დაკავშირებით საკითხი ცალკე არ წამოჭრილა. კომისიამ ერთსულოვნად განაცხადა, რომ 25-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ჩივილის უფლების ეფექტურ განხორციელებაში ხელის შეშლის თაობაზე ზომების მიღება საჭირო არ იყო.

სასამართლებრივი მხარე

## I. სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად კონვენციის მიზნებისთვის ფაქტების დადგენა და მათი ნამდვილობის შემოწმება განეკუთვნება უპირატესად კომისიის კომპეტენციას (28-ე მუხლის პირველი პუნქტი და 31-ე მუხლი). მართალია, კომისიის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და მას უფლება აქვს თვითონვე მოახდინოს შეფასება მისთვის წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით, სასამართლო ამ უფლებამოსილებას იყენებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (იხ. Akdivar and Others v. Turkey, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1996-IV, გვ. 1214, პუნქტი 78).

40. ამიტომ, სასამართლო, კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებზე დაყრდნობით, იმსჯელებს მთავრობის წინასწარ პროტესტსა და კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით მომჩინანის მოთხოვნების თაობაზე.

## II. მთავრობის წინასწარი პროტესტი

### B. სასამართლოს შეფასება

51. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 26-ე მუხლით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის წესი ავალდებულებს მათ, ვისაც სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღმკრა სურთ საერთაშორისო სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოში, რომ პირველ რიგში გამოიყენონ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემით გათვალისწინებული საშუალებები. შესაბამისად, სახელმწიფო არ არის ვალდებული, უპასუხოს მის ქმედებებთან დაკავშირებულ ბრალდებებს საერთაშორისო ორგანოში მანამ, სანამ მას შეუძლია საკითხის მოგვარება მისივე შიდასამართლებრივ სისტემაში. ეს წესი, რომელიც აისახა კონვენციის მე-13 მუხლში, ეფუძნება გარაუდს, რომ სავარაუდო დარღვევის გამოსწორებისათვის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს ეფექტურ საშუალებებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონვენციის ნორმები ინკორპორირებული შიდა კანონმდებლობაში.

52. 26-ე მუხლის თანახმად, მომჩინანმა, ჩვეულებრივ, უნდა მიმართოს არსებულ და საკმარის საშუალებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დარღვეული უფლების აღდგენა. ასეთი საშუალებები უნდა არსებობდეს არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულად, წინააღმდეგ შემთხვევაში საშუალება მიიჩნევა ხელმიუწვდომლად და არაეფექტურად. მეორე მხრივ, არ არსებობს ვალდებულება, რომ პირმა მიმართოს ისეთ საშუალებას, რომელიც არასაკმარისი ან არაეფექტურია. გარდა ამისა, “საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების” თანახმად, რომლებზეც მიუთითებს 26-ე მუხლი, განსაკუთრებულ გარემოებებში მომჩინანი შეიძლება გათავისუფლდეს არსებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისგან. საერთო წესი არ გამოიყენება მაშინაც, როდესაც არსებობს კონვენციასთან შეუსაბამო მოქმედებებისაგან შემდგარი ადმინისტრაციული პრაქტიკა და ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედებების უყურადღებოდ დატოვების ფაქტები, რაც წარმოებას არაფრისმომცემსა და არაეფექტურს ხდის (იხ. გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საქმეზე **Akdivar and Others v. Turkey**, გვ. 1210, პუნქტები 66 და 67).

53. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ამ წესის გამოყენებისას იგი სათანადოდ იღებს მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ეს წესი გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, რომლის მექანიზმზეც შეთანხმდნენ ხელშემკვრელი სახელმწიფოები. აქედან

გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ 26-ე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს შედარებით მოქნილად, ზედმეტი ფორმალობის გარეშე. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი არ არის აბსოლუტური ხასიათის და არ შეიძლება ავტომატურად იქნას გამოყენებული. ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებები. ეს, სხვათა შორის, ნიშნავს იმას, რომ სასამართლო რეალისტურად იღებს მხედველობაში არა მარტო მოცემულ ხელშემქვრელ სახელმწიფოში არსებულ ფორმალურ საშუალებებს, არამედ საერთო იურიდიულ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელშიც ეს საშუალებები მოქმედებს, აგრეთვე, მომჩივანის პირად მდგომარეობას (იხ. გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საქმეზე Akdivar and Others v. Turkey, გვ. 1211, პუნქტი 69).

54. სასამართლო აღნიშნავს თურქეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ, **სამოქალაქოსამართლებრივ** და ადმინისტრაციულ საშუალებებს სახელმწიფო მოხელეების მიერ დაკავებულთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. სასამართლომ ინტერესით შეისწავლა მთავრობის მიერ მიწოდებული გამოტანილი გადაწყვეტილებები მსგავს საქმეებზე. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა (პუნქტი 53), საკითხი არ ეხება მხოლოდ იმას, თუ ზოგადად რამდენად ეფექტური და საკმარისია შიდასამართლებრივი საშუალებები. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მომჩივანმა გააკეთა თუ არა ყველაფერი, რათა ამოეწურა დარღვეული უფლების აღდგენის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

56. სასამართლო მიიჩნევს, რომ თუნდაც მომჩივანს პროკურორთან არ ეჩივლა პოლიციაში მის მიმართ უკანონო მოპყრობის თაობაზე, პროკურორთან შეხვედრაზე მის სხეულზე არსებული დაზიანებები აშკარად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, პროკურორმა არაფერი იღონა იმისათვის, რომ დაედგინა ამ სხეულებრივი დაზიანებების ხასიათი, სიმძიმე და მიზეზები, თუმცა მას თურქეთის კანონმდებლობით უვალებოდა გამოძიების ჩატარება (იხ. პუნქტი 26 ზემოთ).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის უმოქმედობას აღვილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც ბატონი აქსო პოლიციის მიერ იყო დაკავებული სულ ცოტა თოთხმეტი დღის განმავლობაში, იურიდიული და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის გარეშე. ამ პერიოდში მან მიიღო ისეთი მძიმე დაზიანებები, რომლებიც საავადმყოფოში მკურნალობას საჭიროებდა (იხ. პუნქტი 23 ზემოთ). ეს გარემოებები მას აფიქრებინებდა, რომ იგი სახელმწიფოს წარმომადგენლების წინაშე დაუცველი და უძლურია. ნახა რა, რომ პროკურორმა მისი სხეულის დაზიანებების შესახებ ცოდნის მიუხედავად არაფერი მოიმოქმედა, გასაგებია, რომ მომჩივანი დარწმუნდა, რომ შიდასახელმწიფოებრივი

საშუალებებით მისი პრობლემის გადაჭრისა და დაკმაყოფილების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

57. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ისეთი განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მომჩივანს ათავისუფლებდა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისგან. ამ დასკვნის შემდგომ სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად გამოეკვლია მომჩივანის განცხადება იმის თაობაზე, რომ, კონვენციის დარღვევის მიუხედავად, ადმინისტრაციულ პრაქტიკაში მიღებულია შიდასახელმწიფოებრივი საშუალების გამოყენებაზე უარის თქმა.

### III. საქმის არსებითი ნაწილი

#### A. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

58. მომჩივანის განცხადებით, მისდამი მოპყრობის შედეგად დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად:

"დაუშვებელია პირის წამება ან მისდამი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასკვა."

64. სასამართლო მიუთითებს კომისიის დასკვნას, რომ მომჩივანის მიმართ გამოყენებულ იქნა "პალესტინური ჩამოხრჩობის" წესი ანუ ის გააშიშვლეს, ხელები ზურგს უკან შეუკრეს და ჩამოკიდეს შეკრული ხელებით (იხ. პუნქტი 23 ზემოთ).

სასამართლოს აზრით, ასეთი მოპყრობა შეიძლება ჩადენილიყო მხოლოდ განზრახ. მართლაც, ამ მოქმედების განსახორციელებლად საჭირო იქნებოდა გარკვეული მომზადება და ძალის გამოყენება. სავარაუდოა, რომ ეს მოქმედება ჩადენილი იყო მომჩივანისგან აღიარების მოპოვების ან სხვა ინფორმაციის მიღების მიზნით. გარდა იმისა, რომ ეს გამოიწვევდა მწვავე ფიზიკურ ტკივილს, სამედიცინო მასალებით დგინდება, რომ აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ორივე ხელის მტევნის პარალიზმა, რაც გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდებოდა (იხ. პუნქტი 23). სასამართლო თვლის, რომ ასეთი მოპყრობა იყო იმდენად მძიმე და სასტიკი ხასიათის, რომ იგი შეიძლება მხოლოდ წამებად ჩაითვალოს. ამ შეფასების სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი იმსჯელოს არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებზე, რომლებიც მომჩივანის მტკიცებით მის მიმართ იყო გამოყენებული.

აქედან გამომდინარე, დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი.

## B. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

65. მომჩივანმა, რომელსაც კომისიაც დაეთანხმა, განაცხადა, რომ მისი დაკავება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-5 მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

"-----"

66. სასამართლო აღნიშნავს მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdom (1998 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 145-B, გვ. 33, პუნქტი 62), რომელშიც 4 დღისა და 6 საათის ვადით სასამართლოს კონტროლის გარეშე დაკავება მიჩნეულ იქნა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაშეგული ვადის გადაცილებად. აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ თოთხმეტი ან მეტი დღე, რომლის განმავლობაშიც ბატონი აქსო დაკავებული იყო და არ იყო წარდგენილი მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის წინაშე აღვევს “დაუყოვნებლივ” წარდგენის მოთხოვნას.

67. ამის საწინააღმდეგოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ, აღნიშნულ მოსაზრებათა მიუხედავად, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი დარღვეული არ არის, თუ მხედველობაში იქნება მიღებული თურქეთის მიერ გარკვეული უფლებების შეზღუდვა კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად:

"-----"

მთავრობამ სასამართლოს შეახსენა, რომ თურქეთმა 1992 წლის 5 მაისს განაცხადა მის მიერ მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გადაზვევის თაობაზე (იხ. პუნქტი 33 ზემოთ).

### 1. სასამართლოს მოსაზრება

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სახელმწიფო პასუხისმგებელია “ერის სიცოცხლეზე”, თითოეულმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ თვითონ უნდა განსაზღვროს, ემუქრება თუ არა სიცოცხლეს “საგანგებო მდგომარეობა”, ხოლო, თუ ემუქრება, რა ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს იმოქმედოს იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს ეს საგანგებო მდგომარეობა. რადგან ამ შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უშუალო და უწყვეტი კავშირი არსებულ გადაუდებელ საჭიროებებთან, ეს ორგანოები ფაქტიურად უფრო უკეთეს მდგომარეობაში არიან საერთაშორისო სასამართლოსთან შედარებით იმისათვის, რომ განსაჯონ, არსებობს თუ არა საგანგებო მდგომარეობა და რა სახის და ფარგლების შეზღუდვების შემოღებაა საჭირო ამ მდგომარეობის დასაძლევად.

შესაბამისად, ამ თვალსაზრისით მდგომარეობის შეფასება ხელისუფლების ორგანოების შეხედულებაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, ხელშემქვრელი სახელმწიფოები არ სარგებლობენ მოქმედების შეუზღუდვით თავისუფლებით. ამ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციას განკუთვნება იმის დადგენა, *inter alia*, ხომ არ გადააბიჯეს სახელმწიფოებმა “საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული აუცილებლობის” ზღვარს. ამგვარად, შიდასახელმწიფოებრივ მოქმედების თავისუფლებას თან ახლავს ევროპული ზედამხედველობის სისტემა. ამ ზედამხედველობის განხორციელებისას სასამართლომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: გადახვევის ფარგლებში მოხვედრილი უფლებების ხასიათი, საგანგებო მდგომარეობის გამოწვევი გარემოებები და ასეთი მდგომარეობის ხანგრძლივობა (იხ. 1993 წლის 26 მაისი გადაწყვეტილება საქმეზე Brannigan and McBride v. United Kingdom, Series A no. 258-B, გვ. 49-50, პუნქტი 43).

## 2. ერის სიცოცხლისთვის სახიფათო საგანგებო მდგომარეობის არსებობა

69. მთავრობამ, რომელსაც ამ საკითხში კომისიაც დაეთანხმა, განაცხადა, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი ჰქონდა ისეთ საგანგებო მდგომარეობას, რომელიც “საფრთხეს წარმოადგენს ერის **სიცოცხლისთვის**”. მომჩივანს ეს საკითხი არ გაუპროტესტებია, თუმცა განაცხადა, რომ არსებითად ამ საკითხის გარკვევა კონვენციით გათვალისწინებული ორგანოების კომპეტენციაა.

70. არსებული მასალებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში PKK-ს ტერორისტულმა საქმიანობამ მისი მასშტაბებისა და ზეგავლენის გათვალისწინებით, მართლაც შექმნა ამ რეგიონში “საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს” (იხ. *mutatis mutandis*, 1961 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Lawless v. Ireland, Series A no. 3, გვ. 56, პუნქტი 28, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქმეზე Ireland v. the United Kingdom, გვ. 78, პუნქტი 205, და ასევე ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე Brannigan and McBride, გვ. 50, პუნქტი 47).

## 3. განპირობებული და აუცილებელი იყო თუ არა მთავრობის მიერ მიღებული ზომები საგანგებო მდგომარეობის მოთხოვნებით

### (ა) დაკავების ხანგრძლივობა ზედამხედველობის გარეშე

71. მთავრობის მტკიცებით, მომჩივანი დაპატიმრებულ იქნა 1992 წლის 26 ნოემბერს სხვებთან ერთად PKK-ს ტერორისტებისთვის დახმარების გაწევაში ეჭვის საფუძველზე.

იგი ეჭვმიტანილი იყო PKK-ს ყიზილტეპეს განყოფილების წევრობაში და მისი პამყლეტების გავრცელებაში (იხ. პუნქტი 12 ზემოთ). მომჩივანი თოთხმეტი დღის განმავლობაში დაკავებული იყო თურქეთის კანონმდებლობის თანახმად, რომლის მიხედვით საგანგებო მდგომარეობის დროს ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს 30 დღემდე ვადით (იხ. პუნქტი 29 ზემოთ).

72. მთავრობამ განმარტა, რომ ადგილი, სადაც მომჩივანი დააკავეს და დააპატიმრეს, მოქცეული იყო თურქეთის მიერ გამოცხადებული ვალდებულებებიდან გადახვევის ზონაში (იხ. პუნქტები 31-33 ზემოთ). თურქეთში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში PKK-ს ტერორისტული საქმიანობის მასშტაბებისა და საშიშროების გათვალისწინებით, გადახვევის გამოცხადება იყო აუცილებელი და გამართლებული. ტერორისტული დანაშაულების გამოძიება ხელისუფლებას განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნიდა, რაც სასამართლომ ადრეც დაადასტურა, რადგან ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ადვილად ახერხებდნენ დაკითხვისას თავის დაძვრენას, ჰქონდათ ფარული მხარდაჭერი ქსელი და ხელი მიუწვდებოდათ მნიშვნელოვან რესურსებზე. დიდმასშტაბიან რეგიონში მტკიცებულების აღმოჩენისა და მოპოვებისათვის საჭირო იყო დიდი დრო და ძალისხმევა, რომელიც გულისხმობდა ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაპირისპირებას, ამ უკანასკნელს კი მეზობელი ქვეყნებიდან ჰქონდა სტრატეგიული და ტექნიკური დახმარება. ასეთი სირთულეების პირობებში შეუძლებელი იყო სასამართლო ზედამხედველობის უზრუნველყოფა პოლიციის მიერ პირის დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში.

73. მომჩივანმა განაცხადა, რომ იგი დააკავეს 1992 წლის 24 ნოემბერს და გაათავისუფლეს 1992 წლის 10 დეკემბერს. მისი თქმით, დაკავების უფრო გვიანი თარიღით გატარება საგანგებო მდგომარეობის რეგიონში ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა.

74. მომჩივანს, მართალია, დეტალური არგუმენტები თურქეთის მიერ გადახვევის გამოცხადების, როგორც ასეთის, საწინააღმდეგოდ არ წარმოუდგენია, მაგრამ მან ეჭვეჭვეშ დააყენა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული მდგომარეობა ხდიდა თუ არა აუცილებელს ეჭვმიტანილის თოთხმეტი ან მეტი დღის ვადით სასამართლო ზედამხედველობის გარეშე დაკავებას. მისი თქმით, მოსამართლებს არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდათ, მათვის ნება, რომ დაერთოთ და დაევალდებულებინათ დაკავების კანონიერებაზე უფრო სწრაფად ზედამხედველობის გაწევა.

75. კომისიამ თავდაჯერებით ვერ შეძლო იმის დადგენა, რომ მომჩივანი, როგორც თვითონ ამბობდა, დააკავეს 1992 წლის 24 ნოემბერს, თუ 1992 წლის 26 ნოემბერს,

როგორც ამას მთავრობა აცხადებდა. ამიტომ კომისიამ მისი შემდგომი მსჯელობა დააფუძნა იმ ფაქტს, რომ მომჩივანი დაკავებული იყო სულ ცოტა თოთხმეტი დღის განმავლობაში ისე, რომ იგი არ წარუდგენიათ მოსამართლის ან კანონით უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის წინაშე.

76. სასამართლო ყურადღებას ამაზვილებს მე-5 მუხლის მნიშვნელობაზე კონვენციის სისტემაში. ამ მუხლში ასახულია ადამიანის ფუნდამენტური უფლება, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის პირადი თავისუფლების უფლების თვითნებური ხელყოფისაგან პიროვნების დაცვა. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან პიროვნების პირადი თავისუფლების უფლების თვითნებურ ხელყოფაზე სასამართლო კონტროლი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის მიზანია თვითნებური მოქმედების რისკის მინიმუმადე დაყვანა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Brogan and Others**, გვ. 32, პუნქტი 58). ამიტომაც სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივი ჩარევით შესაძლებელია გამოვლინდეს და თავიდან იქნეს აცილებული მძიმე არასათანადო მოპყრობა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა (პუნქტი 62), კონვენცია კრძალავს ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველგვარი შეზღუდვის დაწესების უფლების გარეშე.

77. გადაწყვეტილებაში საქმეზე Brannigan and McBride (მითითებულია ზემოთ, 68-ე პუნქტში), სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მე-5 მუხლიდან გადახვევის გამოცხადებით არ გასცდენა მისი მოქმედების თავისუფლების ფარგლებს, როდესაც ტერორისტულ დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირები, სასამართლო ზედამხედველობის გარეშე, დაკავებაში იმყოფებოდნენ 7 დღემდე ვადით.

ამ კონკრეტულ საქმეზე მომჩივანი დაკავებული იყო სულ ცოტა თოთხმეტი დღის განმავლობაში ისე, რომ იგი არ წარადგინეს მოსამართლის ან სხვა უფლებამოსილი პირის წინაშე. მთავრობა ცდილობდა ამ ღონისძიების გამართლებას შეიძლო, რომ ფართო გეოგრაფიულ არეალში, სადაც ტერორისტული ორგანიზაცია გარედან იღებდა დახმარებას, პოლიციური გამოძიებისთვის საჭირო იყო განსაკუთრებული პირობები (იხ. პუნქტი 72 ზემოთ).

78. თუმცა სასამართლო ემხრობა იმ მოსაზრებას, რომელიც მან რამდენჯერმე გამოთქვა წარსულში (მაგალითად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others), რომ ტერორისტული დანაშაულების გამოძიება ხელისუფლების ორგანოებს მართლაც უქმნის განსაკუთრებულ პრობლემებს. სასამართლოს არ შეუძლია გაიზიაროს ის აზრი, რომ ეჭვმიტანილის დაკავება თოთხმეტი დღით სასამართლო ზედამხედველობის გარეშე

აუცილებლობას წარმოადგენს, ეს ვადა განსაკუთრებით ხანგრძლივია. მის გამო მომჩივანი აღმოჩნდა არა მარტო მისი პირადი თავისუფლების უფლების თვითნებური შელახვისაგან დაუცველი, არამედ წამების მსხვერპლიც (იხ. პუნქტი 64 ზემოთ). გარდა ამისა, მთავრობას სასამართლოსთვის არ დაუსახელებია კონკრეტული მიზეზები იმისა, თუ რატომ შეუშლიდა სასამართლო ზედამზედველობა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

#### (b) გარანტიები

79. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც გადახვევის პირობები, ისე შეიდა სამართლის სისტემა ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმარის გარანტიებს. ამგვარად, უფლებათა შეზღუდვა შეეხო მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ მინიმუმს, რაც აუცილებელი იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, დაკავების დასაშვები ვადა გათვალისწინებული იყო კანონით და, თუ პოლიციას სურდა ამ ვადაზე მეტი ხნით პირის დაკავება, სავალდებულო იყო პროკურორის თანხმობა. წამება აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით (იხ. პუნქტი 24 ზემოთ), ხოლო 135-ე მუხლის “ა” პუნქტის თანახმად, წამებისა ან სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებულ ჩვენებას მტკიცებულების ძალა არ გააჩნია.

80. მომჩივანმა აღნიშნა, წამების პრაქტიკას ხელს უწყობდა პირის ზედამზედველობის გარეშე დაკავება და დაპატიმრებულ პირთა დამცავი გარანტიების არარსებობა. მისი თქმით, სწორედ ამიტომ აწამეს იგი განსაკუთრებული სისასტიკით დაკავების მესამე და მეოთხე დღეს, ხოლო შემდევ თავი მიანებეს, რათა მიყენებული ფიზიკური დაზიანებები მორჩილოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას უარს ეუბნებოდნენ ექიმთან და ადვოკატთან შეხვედრაზე. გარდა ამისა, ის თვალაზვეული იყო დაკითხვის პერიოდში, რათა მას შემდგომში არ ამოეცნო ისინი, ვინც მას არასათანადოდ ეპყრობოდა. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები, როგორებიცაა: “საერთაშორისო ამნისტია” (“თურქეთი: უარის თქმის პოლიტიკა”, 1995 წლის თებერვალი), წამების აღკვეთის ევროპის კომიტეტი და გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ (იხ. პუნქტი 46 ზემოთ), მიუთითებს, რომ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები, რომლებიც ისედაც არასაკმარისია, საერთოდ იგნორირებული იყო საგანგებო მდგომარეობის რეგიონში.

81. კომისიამ აღნიშნა, რომ თურქეთის სისტემა არ უზრუნველყოფს დაკავებულ პირს საკმარისი გარანტიებით, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ არ არსებობს *habeas corpus*-ის დაცვის სწრაფი გარანტია და ადვოკატთან, ექიმთან, ახლობელთან ან ნათესავთან შეხვედრის უფლების უზრუნველყოფის იურიდიული მექანიზმი. ამ გარემოებების

გათვალისწინებით, მომჩივანის სულ ცოტა თოთხმეტი დღით დაკავება მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის წინაშე წარდგენის გარეშე სცილდება მთავრობის უფლებამოსილების ფარგლებს და არ არის საგანგებო მდგომარეობის გამო აუცილებლობით გამოწვეული.

**82.** ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე Brannigan and McBride (იხ. პუნქტი 68 ზემოთ), სასამართლომ ჩათვალა, რომ ირლანდის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო ეფექტური გარანტიები იმისათვის, რომ პიროვნება დაცული ყოფილიყო თვითნებური დაკავებისაგან ან არ ჰქონდა შეტყობინების უფლება. *habeas corpus*-თან მიმართებაში, შესაძლებელი იყო დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების შემოწმება, უზრუნველყოფილი იყო დაკავებისა ან დაპატიმრების მომენტიდან 48 საათის შემდეგ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის აბსოლუტური და სასამართლოს ძალით აღსრულებადი უფლება, დაკავებულ პირებს უფლება ჰქონდათ ნათესავისთვის ან ახლობლისთვის ეცნობებინათ მათი დაკავების ფაქტის შესახებ, მათ ასევე ჰქონდათ ექიმთან შეხვედრის უფლება (op. cit., გვ. 55-56, პუნქტები 62-63).

**83.** ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომჩივანს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო დაკავებული, არ ჰქონდა საკმარისი გარანტიები. კერძოდ, ადვოკატთან, ექიმთან, ნათესავთან ან ახლობელთან შეხვედრაზე უარის თქმა და სასამართლოს წინაშე დაკავების კანონიერების დადგენის რეალური შესაძლებლობის არარსებობა ნიშნავდა იმას, რომ იგი მთლიანად მისი დამკავებლების ნებაზე დამოკიდებული დარჩა.

**84.** სასამართლო მხედველობაში იღებს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ტერორიზმის უდავოდ სერიოზულ პრობლემასა და მთავრობის წინაშე ტერორიზმის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისას არსებულ სირთულეებს. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო აუცილებელი იყო ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის შეტყობინების უფლების გარეშე დაკავება თოთხმეტი ან მეტი დღის განმავლობაში, მოსამართლის ან სხვა უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის გარეშე.

4. აკმაყოფილებდა თუ არა თურქეთის მიერ გადახვევის გამოცხადება მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს

**85.** პროცესის არც ერთ შხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს იმასთან დაკავშირებით, აკმაყოფილებდა თუ არა თურქეთის მიერ გადახვევის გამოცხადება (იხ. პუნქტი 33 ზემოთ) მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, კერძოდ იმ

მოთხოვნას, რომ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია გადახვევასთან დაკავშირებული ზომებისა და მათი მიზეზების შესახებ.

86. სასამართლო უფლებამოსილია, ეს საკითხი თავისივე ინიციატივით განიხილოს (იხ. ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება Lawless-ის საქმეზე, გვ. 55, პუნქტი 22 და ასევე ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე Ireland v. the United Kingdom, გვ. 84, პუნქტი 223). კერძოდ, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს, შეიცავდა თუ არა თურქეთის მიერ გადახვევის გამოცხადება საკმარის ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული მომჩივანის დაკავება სულ ცოტა თოთხმეტი დღის ვადით სასამართლო ზედამხედველობის გარეშე და, ამდენად, აქმაყოფილებდა თუ არა მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. მაგრამ, მისი დასკვნის გათვალისწინებით, სადაც ღონისძიება არ იყო აუცილებელი საგანგებო მდგომარეობის გამო (იხ. პუნქტი 84 ზემოთ), სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელებას.

## 5. დასკვნა

87. დასკვნის სახით სასამართლო ადგენს, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

### C. შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების სავარაუდო არარსებობა

88. მომჩივანმა განაცხადა, რომ მას უარი უთხრეს სასამართლოში ჩივილზე, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, მან გამოთქვა პროტესტი, რომ შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ეფექტურ საშუალებას მის სასარგებლოდ, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-13 მუხლს.

91. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დარღვეულია მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იმავე საფუძვლით, რის გამოც მან საკითხი გადაწყვიტა მომჩივანის სასარგებლოდ კონვენციის 26-ე მუხლთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 50 ზემოთ). ამ დასკვნის გათვალისწინებით, მან საჭიროდ აღარ მიიჩნია მე-13 მუხლთან დაკავშირებული მომჩივანის მოთხოვნის განხილვა.

#### 1. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს "სასამართლოში საქმის განხილვის უფლებას". ამ უფლების ერთ-ერთი ელემენტია სასამართლოსთვის მიმართვის, ე.ი. სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე წარმოების აღმვრის უფლება (იხ. მაგალითად, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე).

Holy Monasteries v. Greece, Series A no. 301-A, გვ. 36-37, პუნქტი 80). რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ეხება იმ სამოქალაქო სარჩელსაც, რომლითაც მოთხოვნილია კომპენსაცია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობისათვის (იხ. მაგალითად, გადაწყვეტილება Tomasi-ის საქმეზე, გვ. 43, პუნქტები 121-22, იხ. ზემოთ 61-ე პუნქტი).

93. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს პრეტენზია არ გამოუთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ თეორიულად მას შეეძლო სამოქალაქო წარმოების დაწყება მისდამი არასათანადო მოპყრობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. თუმცა მან აღნიშნა, რომ პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის არ აღმვრა პრაქტიკულად ნიშნავდა იმას, რომ მას სამოქალაქო საქმის მოგების არავითარი შანსი არ ექნებოდა (იხ. პუნქტი 90 ზემოთ). სასამართლო მიუთითებს, რომ, მიუხედავად ამისა, მის შემთხვევაში მომზდარი განსაკუთრებული გარემოებების გამო ბატონ აქსოის არც კი უცდია სამოქალაქო წესით საქმის აღმვრა. ამ გარემოებების გამო, სასამართლოს არ შეუძლია იმსჯელოს განიხილავდნენ თუ არა თურქეთის სასამართლოები ბატონი აქსოის სარჩელს მისი ჩივილის შემთხვევაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანის პრეტენზია უმთავრესად უკავშირდებოდა პროკურორის მიერ სისხლის სამართლის წესით გამოძიების არჩატარებას (იხ. პუნქტი 90 ზემოთ). ამასთან ერთად, სასამართლო ითვალისწინებს მომჩივანის მოსაზრებას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ნაწილი იქნებოდა დარღვეული უფლებების აღსადგენად მისაღები ზომებისა (იხ. კვლავ პუნქტი 90 ზემოთ).

94. სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უპრიანი იქნებოდა მომჩივანის ამ მოთხოვნის განხილვა მე-13 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოთა უფრო ზოგადი ვალდებულების ფონზე, რომლის თანახმად სახელმწიფო უნდა შექმნას კონვენციის დარღვევის აღმოსაფხვრელად ეფექტური საშუალებები.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლო

1. რვა წმით ერთის წინააღმდეგ არ აკმაყოფილებს წინასწარ პროტესტს იმის თაობაზე, რომ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ ამოწურულა;
2. რვა წმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი;
3. რვა წმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

4. რვა წმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ აუცილებელი არ არის მომჩივანის მოთხოვნის განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტან დაკავშირებით;
5. რვა წმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-13 მუხლი;
6. ერთსულოვნად აცხადებს, რომ კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა არ დასტურდება;
7. რვა წმით ერთის წინააღმდეგ აცხადებს, რომ
- (a) მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს სამი თვის ვადაში მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაუხადოს 4,283,450,000 თურქული ლირა;
  - (b) მოპასუხე სახელმწიფომ მოსარჩელეს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად £20,710 გამოკლებული 12,515 ფრანგული ფრანკის ექვივალენტი ფუნტ სტერლინგებში ამ გადაწყვეტილების გამოტანის დღისთვის არსებული კურსით;
  - (c) სამი თვის ვადაში ზემოაღნიშნული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში, ანგარიშის საბოლოო გასწორებამდე, მოპასუხე სახელმწიფოს დამატებით დაეკისრება საპროცენტო განაკვეთის გადახდა შემდეგი წესით:
    - (i) თურქულ ლირებში 30%;
    - (ii) ფუნტ სტერლინგებში 8%.